# ხელშეკრულება №ზ 026
## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

26.12.2016წ.

თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შოთა ქათამაძის სახით, შემდგომში –შემსყიდველი ერთი მხრივ და შპს „უნიქოლორი" მისი დირექტორის ბაადურ ქობლიანიძის სახით, შემდგომში –მიმწოდებელი, მეორე მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვთანხმდებით გამარტივებული შესყიდვის პირობებს და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

*მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებისათვის 70 ცალი მისალოცი ბარათის (CPV- 22320000) დღიურები (CPV- 22800000) და საკანცელარიო ნივთების (CPV- 30192000) მოწოდება – შემდგომ საქონელი.

*მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი*

2.1 ხელშეკრულების მთლიანი და ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 488-50 (ოთხასოთხმოცდარვა ლარი და 50 თეთრი) ლარს (2016 წლის 26 დეკემბრის №ვე000007362 ინვოისის შესაბამისად).

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს მიწოდებულ საქონელზე ანგარიშსწორება, მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

*მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა*

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებსა და მსგავსი საქონლისთვის უკვე არსებულ სტანდარტებს.

მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

*მუხლი 7. პასუხისმგებლობა*

7.1. ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

*მუხლი 8. ინსპექტირება*

8.1.წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის ლოგისტიკის სპეციალისტი გიგა გოგინაშვილი.

8.2.ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

*მუხლი 9. სხვა პირობები*

9.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

9.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ქართულ ენაზე, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

*<u>მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>*

შემსყიდველი:

სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, საიდენტიფიკაციო კოდი 204504875, სახელმწიფო ხაზინა, ანგარიშის №200 122 900, კოდი TRESGE22.

ხელმოწერა ______________________________ შოთა ქათამაძე

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს "უნიქოლორი", მის. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2 მიმღების ანგარიში სს "პროკრედიტ ბანკი" ანგარიშის ნომერი No.GE66PC0183600100024283 ბანკის კოდი MIBGGE22. ს/კ 204447312.

ხელმოწერა ______________________________ ბაადურ ქობლიანიძე

ბ.ა.